2025 წლის იანვრიდან სასპორტო სკოლასთან შექმნილია 16 სახეობის 36 ჯგუფი, რომელშიც 674 ნორჩი სპორტსმენი იმაღლებს მომზადების დონეს, მათ შორის ბ/რომაული ჭიდაობის 4 ჯგუფი - 69 აღსაზრდელით, კალათბურთის 3 ჯგუფი 90 - აღსაზრდელით, ძიუდოს 3 ჯგუფი 102 აღსაზრდელით, ჭადრაკის 2 ჯგუფი 51 აღსაზრდელით, რაგბის 4 ჯგუფი 58 აღსაზრდელით, კრივის 5 ჯგუფი 91 აღსაზრდელით, კარატე-დოს 3 ჯგუფი 61 აღსაზრდელით, ტაეკვანდოს 2 ჯგუფი 30 აღსაზრდელით, ხელბურთის 1 ჯგუფი 13 აღსაზრდელით, მაგიდის ჩოგბურთის 1 ჯგუფი -22 აღსაზრდელით, მკლავჭიდის 1 ჯგუფი 12 აღსაზრდელით, სამბო 1 ჯგუფი 11 აღსაზრდელი, ქართული ჭიდაობა 2 ჯგუფი 29 აღსაზრდელით, კიკბოქსინგის 1 ჯგუფი 14 აღსაზრდელით, კუდოს 2 ჯგუფი 15 აღსაზრდელით, პროფესიული კრივი 1 ჯგუფი 6 აღსაზრდელით. ასევე გაერთიანებას ერიცხება 18 წელს მომქმედი 38 სპორტსმენი და კოორდინაცია ეწევა

მათ მომზადებას, საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე გაგზავნას და დაფინანსებას.

ჯგუფების საქმიანობას დღეის მდგომარეობით წარმართავს 28 ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებელი. ყველა მათგანს გააჩნია შესაბამისი სპორტული ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზია ან ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა, რომლითაც უფლება ეძლევათ აწარმოონ სამწვრთნელო-ადმინისტრაციული მუშაობა.

2025 წელს კალათბურთელთა გუნდი „სენაკი-სენაკი“ მონაწილეობას ღებულობს 16-წლამდელთა ჩემპიონატში „ბ“ და „ც“ ლიგაში.

გაერთიანება სისტემატურად აწყობს შეჯიბრებებს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონის მასშტაბით და ეს შეჯიბრებები სულ უფრო მასშტაბური ხდება. მასში ადგილობრივ გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების ნაკრები გუნდები, „თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხულოს, ფოთის, მარნეულის, ზუგდიდის, სამტრედიას, ოზურგეთის, ხობის, აბაშის, ბოლნისის, მარტვილის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ამბროლაურის, სტეფანწმინდის და სხვა.

2025 წლის 1- იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა ღონისძიებები:

- სასპორტო სპორტული ოლიმპიადა 3X3-ზე კალათბურთში
- ნინო ჯანჯღავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში
- 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი 3X3-ზე კალათბურთში
- გოჩა ტყეშელაშვილს ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი მოსწავლეთა შორის ჭადრაკში.
- შიდა ჩემპიონატი მოკლე ნარდში
- კახაბერ ჟვანიას სახელობის ღია ტურნირი კრივში.
- ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ღია ტურნირი დამწყებ მოჭადრაკეთა შორის ჭადრაკში.
- მიხეილ ქურდოვანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ჭადრაკში.

სენაკელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სასპორტო გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე: ბ/რომაულ ჭიდაობაში, კარატე-დო-ში, კრივში, ჭადრაკში, ძიუდოში, ტაეკვონო-ში, ხელბურთში

და ა.შ.

- ბ/რომაული ჭიდაობა-საქართველოს ჩემპიონატი დიდებს შორის: ბათუმი - მე-2 ადგილი
- ბ/რომაული ჭიდაობა-საქართველოს ჩემპიონატი დიდებს შორის: გორი- მე-3 ადგილი
- საქართველოს ეროვნული პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში 17 წლამდელთა შორის: მე-2 ადგილი
- ძიუდო -საქართველოს ჩემპიონატი : I ადგილი
- გოგონებს შორის II ადგილი
- ახალგაზრდებს შორის I ადგილი
- კრივში საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის: II ადგილი 1; III ადგილი 2
- მოსწავლე მოკრივეთა შორის I ადგილი 1; III ადგილი 2
- კარატე-დო საქართველოს ჩემპიონატი: II ადგილი 1; , III ადგილი 1
- კუდოში საქართველოს ჩემპიონატი: II ადგილი 1
- საქართველოს 32-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში: I ადგილი 2; II ადგილი 4, III ადგილი 2.
- ევროპის ჩემპიონატი კრივში მოსწავლეებს შორის: II ადგილი 1; III ადგილი 1.

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ტიკვონდო-ში: I ადგილი 1; II ადგილი 3; III ადგილი 2.

აღნიშნული სპორტსმენები და მათი მწვრთნელ-მასწავლებლები წახალისდნენ შესაბამისი ფულადი ჯილდოთი.

აღნიშნული სპორტსმენების უმრავლესობა საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში არიან ჩარიცხულნი.

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სპორტსმენებმა 2025 წლის 01 იანვრიდან

31 დეკემბრის მდგომარეობით მონაწილეობა მიიღეს 300-ზე მეტ რესპუბლიკურ, საერთაშორისო

და რეგიონალურ ტურნირებში, სადაც მიღებული აქვთ 180-ზე მეტი საპრიზო ადგილი.

საკუთარი შემოსავლიდან ნაშთი 01.01.2026 წლის მდგომარეობით 4 663 ლარი.

## ბ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02) გამოყოფილი იქნა 589,5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 565,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,9%-ია.

განხორციელდა:

2025 წლის იანვრის თვიდან გაგრძელდა ბავშვთა ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბება, მოწესრიგებული სათამაშო/სავარჯიშო სტადიონი/მოედნები, საუკეთესო ინფრასტრუქტურა, ლიცენზირებული მწვრთნელ/მასწავლებლები, უმაღლესი ხარისხის სავარჯიშო ინვენტარი, ეკიპირება, ტრანსპორტი, კვება და ყველა დონის უფასო მომსახურება გამოარჩევს ჩვენს საფეხბურთო კლუბს მთელ რეგიონში. სტადიონის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობს არსებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოედანზე სათადარიგო ფეხბურთელებისათვის დამონტაჟდა სკამები, დღეისათვის ირიცხება 200-ზე მეტი აღსაზრდელი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ რეგიონების ფეხბურთის ფედერაციების ჩემპიონატებში, ტურნირებსა და ფესტივალებში:

სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის ჩემპიონატში მონაწილეობს : U-10; U-11; U-12; U-13; U-14(ბრინჯაოს ლიგა); U-15(ი.ფ.ფ.) ასაკობრივი გუნდის ფეხბურთელები.

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდთან წარვადგინეთ „ფეხბურთის განვითარების პროგრამა“, წარმატებით დავასრულეთ კატეგორიზაციის სამუშაო პროცესი, „სფფ სკოლების კატეგორიზაციის და მონიტორინგის

ადმინისტრაციისაგან“ მივიღეთ მე-III -კატეგორია-საფეხბურთო სკოლის კანდიდატის სტატუსი, რაც 8000 ლარით დაფინანსებას გულისხმობს. საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა საქართველოში მოქმედი ფეხბურთის ფედერაციის მიერ კატეგორიზაცია მინიჭებულ 106 საფეხბურთო სკოლესა და აკადემიას, რომელშიც 30 000 ბავშვია გაერთიანებული სპორტული ინვენტარი გადასცა, მათ შორის სენაკის ბავშვთა ასაკობრივი გუნდების ფეხბურთელებს.

2025 წელს გაგრძელდა/გაფორმდა მემორანდუმი შ.პ.ს. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლასთან, ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორი გუნდი 16-16 ფეხბურთელის შემადგენლობით მონაწილეობს ფესტივალებში.

კალენდარული შეხვედრების პირველი წრე დასრულდა შემდეგი შედეგებით:

U-10-XIII ტური:მოგება 8,წაგება3,ფრე1; 25 ქულა;

U-11- XII ტური:მოგება 7,წაგება4,ფრე1; 22 ქულა;

U-12- XV ტური:მოგება 5,წაგება 7,ფრე2; 18 ქულა;

U-13 -XII ტური:მოგება 10,წაგება0,ფრე2; 32 ქულა;

U-14 -XV ტური: მოგება10,წაგება4,ფრე1; 31 ქულა;

U-15 -ბრინჯაოს ლიგა-XII-ტური:

მე-VI-ადგილი, მოგება 2,წაგება 4,ფრე1; 7 ქულა;

U-17-ი.ფ.ფ. I-წრე,11 ტური, 9-გუნდი,მოგება-3;ფრე-4, წაგება-4,

მე-VI ადგილი; 13 ქულა;

ა.(ა).ი.პ.სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის გუნდი „ეგრისი“ მონაწილეობს რეგიონალური ლიგის გათამაშების „გ“ ჯგუფში, ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა მოწვეული ფეხბურთელებით გუნდის შემადგენლობის განახლება. 2025 წლის შედეგებით კალენდარულ ცხრილში დაბალ ნიშნულზე აღმოჩნდა გუნდი და ამ მოცემულობით ვერ შეძლო 2026 წლისთვის დაფინანსების შენარჩუნება.

სამეგრელო ზემო -სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის კალენდარული შეხვედრები დასრულდა შემდეგი შედეგებით:

U-10 26 ტური; 13-მოგება; 4-წაგება; 7-ფრე; -----37 ქულა;

U-11 24 -ტური; 17-მოგება, 6-წაგება,1-ფრე; ----- 52 ქულა;

U-12 26 ტური; 9-მოგება;14-წაგება; 3-ფრე; ----- 30 ქულა;

U-13 ტური-24; მოგება-20;წაგება -2;ფრე-2; -----62 ქულა; მე-II ადგილი;

U-14 29 -შეხვედრა,19-მოგება;6-წაგება; 4-ფრე; ----61 ქულა,მე-II ადგილი;

U-17 “ბ“ჯგუფი; 9-გუნდი;16-შეხვედრა; 5-მოგება;4-ფრე;7-წაგება; 19 ქულა; მე-Vადგილი;

„შუა ჯგუფი“-6 გუნდი;10 -შეხვედრა;3-მოგება;5-წაგება; 11 ქულა; მე- V-ადგილი;

ბრინჯაოს ლიგა -U-15 -ქვედა ჯგუფი;14-შეხვედრა; 8 -გუნდი; წაგება- 7;ფრე-1;მე-VI ადგილი;

### გ) სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 01 03) გამოყოფილი იქნა 42,5

ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 42,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,9%-ი

განხორციელდა:

- სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა 106 ცალი ბრენდირებული სპორტული ფორმები, რომელიც დაურიგდათ 2024-25-ის რეგიონალური ეტაპის მონაწილე სკოლის გუნდებს.

უზრუნველყოფილ იქნა მათი რეგიონალურ ეტაპზე მონაწილეობის ტრანსპორტირება, ასევე, უზრუნველყავით ნოსირის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება ზონალურ ეტაპზე ბადმინტონში (გოგონები) და მე-2 საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდის (3X3-ზე კალათბურთში). მეორე სკოლის 3X3-ზე კალათბურთის გუნდმა დასკვნით (ფინალურ) შეხვედრაში დაამარცხა რუსთავის 24-ე ქართული სკოლის გუნდი და გახდა საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2025-ის გამარჯვებული. საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული გუნდის წევრები და მათი სპორტის პედაგოგი მიღწეული შედეგების გათვალისწინებით დავაჯილდოვებულნი წამახალისებელი ფულადი ჯილდოებით.

- ახალგაზრდა, პრესექტიულ ძიუდოისტს ალექსი გულუას რომელიც 2024 წელს გახდა ქართულ ჭიდაობაში, ქარელის რესპუბლიკურ ტურნირსა და „კოლხეთის თასი 2024“-ზე პირველი ადგილების, მფლობელი, 2008-2009 წწ. დაბადებულთა საქართველოს მასტერსზე კი მე-2 ადგილოსანი, ასევე 2008-2009 წწ დაბადებულ ძიუდოისტთა შორის საქართველოს ჩემპიონია, რაც არის ბოლო 30 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი მის ასაკობრივ კატეგორიაში. 5-6 აპრილს ჩეხეთის რესპუბლიკაში გამართულ ევროპის თასზე ძიუდოში, კადეტთა შორის მან თავის წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და გახდა ევროპის თასის მფლობელი. აღნიშნულიდან

გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

- ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **გიორგი ქვარცხავას**, რომელიც 2024 წლის 3-5 დეკემბერს, თბილისში მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 17 წლამდე მოჭიდავეთა შორის 82 კგ. წონით კატეგორიაში, გახდა ტურნირის გამარჯვებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **გიორგი ჩხიკვაძეს**, რომელიც 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის მოიპოვა, როგორც ევროპის, ასევე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ასევე ის გახდა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართული ანრი დეგლანის სახელობის გრან-პრის გამარჯვებული. იტალიის ქალაქ სასარში გამართულ, საერთაშორისო ტურნირზე დიდებს შორის, საქართველოს ნაკრების წევრმა 72 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით, 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.
- წარმატებულ ახალგაზრდა კალათბურთელს **ლუკა ჩიქობავას**, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯებიდან დახმარების სახით 2 000 (ორიათასი) ლარი ჩაურიცხეთ.
- ახალგაზრდებს შორის ევროპის პარა მკლავჭიდზე მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით სენაკელი სპორტსმენები **გიორგი ტორუა** და **ლუკა გვაზავას** გადაეცათ წამახალისებელი ფულადი ჯილდოები 1 000 -1 000 (ათას-ათასი) ლარის ოდენობით.
- მ/წლის ივლისში სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯებიდან 1 000 (ათასი) ლარის დახმარება დახმარება გავუწიეთ ვეტერან მოჭადრაკეს, გასული საუკუნის 90-იანი წლების საჭადრაკო უნივერსიადის გამარჯვებულს **რომან სიჭინავას**.
- ამავე პერიოდში წამახალისებელი ფულადი ჯილდო გადავეცით სენაკის 14 და 16 წლამდელთა საკალათბურთო

გუნდის წევრებსა და მათ მწვრთნელ მასწავლებელს 2 800 (ორიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

- სენაკელ ვეტერან ძიუდოსისტ **ელგუჯა გვასალიას** გავუწიეთ ფინანსური დახმარება მსოფლიოსა 1 300(ათასსამასი) ლარით და ევროპის 1 500 (ათასხუთასი) ლარით ვეტერანთა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.
- სომხეთის ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებაში გავუწიეთ ფინანსური დახმარება სენაკელ მოჭადრაკეს **გიორგი ჭანტურიას** 1 500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.
- აპრილ-მაისში გაიმართა რეგიონალური მინი საფეხბურთო ტურნირი „სასკოლო ლიგა 2025“, სადაც სამსახურის მიერ დაფინანსდა სენაკის 1-ლი და მე-2 საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობის ტურნირზე საწევრო გადასახადი და ა(ა)იპ 'სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ მხარდაჭერით უზრუნველყოფით მონაწილეების ტრანსპორტირება ჯგუფური ეტაპის თამაშებზე.

ამავე პერიოდში ჩავატარეთ სკოლებს შორის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სირბილსა და მინიფეხბურთში, რომლის ფინალური შეხვედრა ჩავატარეთ 26 მაისს.

- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან“ ერთად ჩავატარეთ ამ დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სპორტული აქტივობები. (3\*3 კალათბურთში, ჭადრაკში, ტაეკვონდოში, ძიუდოში, მკლავჭიდსა და მაგიდის ჩოგბურთში)
- საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან თანამშრომლობით ჩავატარდა მინიფეხბურთის ტურნირის, სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშები. დავაფინანსეთ გუნდების მონაწილეობის საწევრო გადასახადი და გამოვავლინეთ გამარჯვებული, რომელმაც ასპარეზობა გააგრძელა ტურნირის შემდეგ ეტაპზე. აღნიშნული ტურნირი ჩატარდა ახალგაზრდებს შორის სლოგანით „არა ნარკოტიკს“.
- საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე ვუმასპინძლეთ საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატს ქართულ ჭიდაობაში;
- ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან“ ერთად აღვნიშნეთ სენაკის დღე და ქალაქის ცენტრალურ პარკებში ჩავატარეთ სხვადასხვა სპორტული აქტივობები: (ჭადრაკში, ძიუდოში, მკლავჭიდსა და მოკლე ნარდში);
- საქართველოს მუყვარულთა თასი 2025-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებულ გუნდს „ფოცხოს“ რეგიონალური თამაშებისთვის დავუფინანსეთ გასვლითი თამაშების ტრანსპორტირება;
- სექტემბრის ბოლო პარასკევს, მართაონული გარბენით აღვნიშნეთ ევროპის სასკოლო სპორტის დღე და ყველა მონაწილეს გადავეცით სამახსოვრო სიგელები;
- ჩავატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-2026-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშები და გამოვავლინეთ სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული სკოლები, რომლებიც 2026 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ ეტაპზე წარსდგებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელით. გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დავაჯილდოვეთ სიგელებით.
- საანგარიშო წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით გამოვავლინეთ 2025 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელ - მასწავლებლები, რომელთაც გადავეცით წამახალისებელი ფულადი ჯილდოები და სპეციალური დიპლომები: საუკეთესო სპორტსმენი **ალექსი გულუა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი **ალექსი გუნია** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო კადეტი სპორტსმენი **ჯონი ხაბურზანია** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო გოგონა სპორტსმენი **ნინო ხუნჯუა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო ფეხბურთელი **ოთო შამათავა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი **ელგუჯა გვასალია** - 1 000 (ათასი) ლარი, საუკეთესო მწვრთნელი **ილო ცაავა** - 1 000 (ათასი) ლარი, საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელი **ურა ჯღარკავა** - 1 000 (ათასი) ლარი.

#### დ) სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 01 03) გამოყოფილი იქნა 929,3 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 852,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,8%-ია.

განხორციელდა:

- ქ.სენაკი, დედის ქუჩაზე ტრენაჟორის მოწყობა და ქ.სენაკი, დედის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისულაში სპორტული მოედნის მოწყობა;
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში სპორტული მოედნის მოწყობა;
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში სპორტული მოედნის მოწყობა;

- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საოდიშაროს უბანში სპორტული მოედნის მოწყობა ;
- ქ.სენაკი, მიშა ღვინჯილიას ქუჩა N3ა-ში სპორტული მოედნის მოწყობა;
- ქ. სენაკი დავით აღმაშენებლის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა;
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, საგვარამიოს უბანში სპორტული მოედნის მოწყობა;
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტყირის უბანში სპორტული მოედნის მოწყობა

## ე) მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 01) გამოყოფილი იქნა 1281,3 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 1272,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,5%-ია.

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ მიერ

განხორციელდა:

- მუნიციპალიტეტში გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე თანამონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშისა და ქართული თეატრის დღე - შეხვედრა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებთან;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ წარმოგიდგენთ საბავშვო სპექტაკლს „მოგზაურობა საზღაპრეთში“;
- თოჯინების თეატრის საბავშვო სპექტაკლი „მგელმა მგლობა მოიშალა“;
- სენაკისა და სრულიად საქართველოს მფარველის, წმინდა ალექსი სენაკელის აღსრულებიდან 102-ე წლისთავთან დაკავშირებით, ლიტერატურულ-მხატვრული საღამო;
- წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე - ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანის“ მონაწილეობით ლიტერატურული კომპოზიცია;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ - ნ.დუმბაძის „კუკარაჩას“ პრემიერა;
- ანსამბლი „კოლხური ტრიო" ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მუსიკალურ შოუში „გული მღერის“;
- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქალი - დედა, ქალი - ლეგენდა“;
- ეკოკლუბის - „მწვანე ერთობას“ აქტივობები მუნიციპალიტეტის #2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან;
- სენაკის ღირსეული შვილის, ჟიული შარტავას 81-ე წლისადმი მიძღვნილი აქტივობები;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი" სპექტაკლით „ჯვარცმული ბედნიერება“;
- ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით ღონისძიება „გაზაფხული შემოსულა ლენ“;
- ცენტრის ტურისტული კლუბი „მწვანე მოლაშქრეების" მიერ 2024 წელს განხორციელებული აქტივობების ანგარიში;
- 21 მარტი - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე - ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ საბავშვო სპექტაკლით „მოგზაურობა საზღაპრეთში“;
- ანსამბლი „კოლხური ტრიო" რ. ბულიას სახელობის ხელოვნების ფესტივალზე „ქართული ცეკვა სული ერისა“;

- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანის“ მიერ სპექტაკლის „კუკარაჩას“ განმეორებითი ჩვენება;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ საერთაშორისო სატელევიზიო საქველმოქმედო ფესტივალში „მშვიდობა თქვენდა“.
- მხეიძეებისა და აფაქიძეების გვარის ისტორიის პრეზენტაცია ;
- ტურისტულმა კლუბმა „მწვანე მოლაშქრეებმა“ ინტელექტუალური თამაში „ რა, სად, როდის? “ გამართა;
- 36 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან... ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ ლიტერატურული კომპოზიციით: „9 აპრილის ლექსები - ხეებზე გაკრული ლექსები...“
- პედაგოგ, ლია ქობალავას მიერ მუსიკალური ლიტერატურის პრეზენტაცია;
- გალერეის საინტერესო გამოფენა;
- დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ჩვენი ენა ქართული“;
- დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა- იოსებ ნონეშვილის საიუბილეო საღამო;
- ტურისტული კლუბის - „მწვანე მოლაშქრეები“ - „კამპანია აჩუქე წიგნი“;
- ეკოკლუბ „მწვანე ერთობის“ წევრები - პრეზენტაცია თემაზე - „მსოფლიოს ყველაზე იშვიათი და უძველესი მცენარეები“
- ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა ქართული ხალხური ცეკვის კონკურს-ფესტივალი „ჰარიდაში“;
- საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა;
- ანსამბლ „კოლხური ტრიოს“ მონაწილეობა ქართველ ქალთა ტრადიციულ მუსიკის მესამე ფესტივალზე - „ნანინა 2025“;
- 9 მაისი - მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობაში მონაწილეობა;
- ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა ფოლკლორულ ფესტივალზე „ჭყონდიდი“;
- მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული - ცნობილი უცხოელი მხატვრების რეპროდუქციის გამოფენა - „თავსაბურავები მსოფლიო მხატვრობაში“, ეროვნული ქუდების გამოფენა;
- მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ღია გაკვეთილი - „ღიაღია ჩვენი წარსული“;
- ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა გიორგი ტყვაცირიას სახელობის ფესტივალზე „არ დავიწყება მოყმისა“.
- მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღეები;
- ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მერაბ კოსტავას ხსოვნის საღამო;
- ცენტრის ტურისტული კლუბი „მწვანე მოლაშქრეების“ ვიზიტი საქართველოს ულამაზეს მხარეში, იმერეთში;
- ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე;
- ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა კონკურს-ფესტივალზე;
- ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ცენტრის თანამონაწილეობა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში ;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანის“ სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“;
- ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა ქართული ხალხური ცეკვის X ფესტივალ-კონკურსში "კუჩხბედიწერი-2025";

- სპექტაკლი „სხივი სარკმლიდან გადმოშვებული“
- სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეის დაარსების 45 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო;
- ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ჰარიზა“;
- ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის“ წლის შემაჯამებელი გაკვეთილი;
- ტურისტული კლუბის - „მწვანე მოლაშქრეების“ -წევრებზე სიგელების გადაცემა;
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ საქველმოქმედო სპექტაკლით „რწყილი და ჭიანჭველა“;
- სენაკელი მხატვრის, მალხაზ კორთხონჯიას პერსონალური გამოფენა;
- საჯარო, საბავშვო და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი გაიზარდა.;
- მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლო კონცერტი;
- 17 წელი აგვისტოს ომიდან...
- დიმიტრი ჯაიანის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო;
- მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა არხავის 51-ე საერთაშორისო კულტურისა და ხელოვნების ფესტივალში;
- ტურისტული კლუბის „მწვანე მოლაშქრეების“ აქტივობა „კინომატოგრაფიის როლი ტურიზმის განვითარებაში“;
- ახალი სასწავლო წლის ღონისძიება;
- ტურისტული კლუბის თანამონაწილეობა „ქალაქის დღის“ აღნიშვნაში;
- ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ სპექტაკლით „ჯვარცმული ბედნიერება“ საერთაშორისო ფესტივალზე „ზღვის მარგალიტები 2025“;
- ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ სპექტაკლით „ჯვარცმული ბედნიერება“ საერთაშორისო

ფესტივალზე „ზღვის მარგალიტები 2025“;

- ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდიის აღსაზრდელების მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალზე „მე მიყვარს თბილისი“ თეატრალური იმპროვიზაციით „თბილისის სურათები“;
- სენაკში სოხუმის დაცემიდან 32-ე წელი აღინიშნა... ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ სპექტაკლით „ჯვარცმული ბედნიერება“;
- ცენტრის ტურისტული კლუბის „მწვანე მოლაშქრეების“ წევრებმა ტურიზმის დღე აღნიშნეს;
- იაკობ გოგებაშვილის 185-ე საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია „იავნანამ რა ჰქმნა?“
- შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრმა, დღის ცენტრ „ლაზარე-2015“-ის აღსაზრდელებს უმასპინძლა;
- ცენტრის თანამონაწილეობა ფოთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებაზე;
- მხატვარ ნონა ჭანტურიას პერსონალური გამოფენის გახსნა;
- თოჯინების თეატრი სპექტაკლებით - „წითელქუდა“ და „მგელმა მგლობა მოიშალა“;
- ტურისტული კლუბი „მწვანე მოლაშქრეები“ გასტრონომიული შიდა ტურის ფარგლებში, თენგიზ შომახიას საოჯახო „ჯარგვალში“;
- ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდია - სატელევიზიო სპექტაკლი „განდევილი“;
- ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ - სპექტაკლი „ერთად დავლიოთ ყავა“;

- ცენტრის საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია- საახალწლო ღონისძიება „ერთხელ ახალ წელს“;
- ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდია- სპექტაკლი „ჩხიკვა ქორწილის“ პრემიერა;
- ცენტრის ტურისტული კლუბის „მწვანე მოლაშქრეების“ წევრებმა, საახალწლო კვირეულის ფარგლებში, საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს;
- საახალწლო ღონისძიება;
- ცენტრის საესტრადო სიმღერების სწავლების სექციის მოსწავლეთა თანამონაწილეობა მუნიციპალიტეტში დაგეგმილ საახალწლო ღონისძიებაზე.

2025 წლის 12 თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 36741 ლარს, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 27319,43 ლარი.

ნაშთი საკუთარი შემოსავლებიდან 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 3440 ლარს.

### გ) ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 02)

ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 02) გამოყოფილი იქნა 625,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 625,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“ კოორდინაციას უწევს სხელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულია 48 ადამიანი, რომელიც 2025 წლის დეკემბრის თვის მონაცემით ემსახურება 492 მოსწავლეს. სამუსიკო სკოლაში ირიცხება: 260 მოსწავლე, სამხატვრო სკოლაში ირიცხება: 87 მოსწავლე,

შემოქმედებით პროექტში: „ხელოვნების საკვირაო სკოლა“- 145 მოსწავლე; მუსიკის მიმართულებით - 94; ხატვის მოსამზადებელ ჯგუფში-23; სახვითი(სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნება - 16, აბიტურიენტების მოსამზადებელ ჯგუფში - 12).

განხორციელდა:

- სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურს - ფესტივალებში.
- კონკურს-ფესტივალებში აქტიური მონაწილეობისათვის მაღალი შეფასებები მიიღეს მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.
- ტარდება მასტერკლასები, ტრენინგ-სემინარები;
- . სამუსიკო სკოლაში განხორციელებულდა სხვადასხვა ღონისძიებები;
- ფუნქციონირებდა ხელოვნების საზაფხულო სკოლა;
- ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს ანსამბლი „გოგალაი“, რომელიც აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ ღონისძიებებში:

### ზ) კულტურული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

კულტურული ღონისძიებების პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 04) გამოყოფილი იქნა 644,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 640,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,5%-ია.

განხორციელდა:

- ქართული თეატრის დღეს, სამსახურის ორგანიზებით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ღვაწლმოსილ მსახიობებს ფულადი ჯილდო გადაეცათ;

- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, პროექტის - „დედას, ქალს, გაზაფხულს...“ ფარგლებში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით, დედისა და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში „კოლხური ტრიოს“ წევრებს, ჟიული შარტავასა და სახელობის მუზეუმში, თეოფანე დავითაიას მუზეუმსა და საბიბლიოთეკო სფეროში მოღვაწე ქალბატონებს, კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, მადლობა გადაუხადეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. მათ საჩუქრად 2 000 (ორიათასი ) ლარის 50 (ორმოცდაათი) სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ, ჯამში 40 ცალი;
- გმირების მშობლიურ ქალაქში, ჟიული შარტავას 81-ე, გურამ გაბესკირიას 78-ე და გენო ადამიას 89-ე დაბადების თარიღების აღსანიშნავად, კომპლექსური ღონისძიებები გაიმართა, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მივაგეთ და 9 აპრილის სკვერში, მათი მემორიალი ყვავილებით შევამკეთ.
- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ყვავილებით შევამკეთ ომში დაღუპული გმირი მფრინავის, ალექსანდრე წურწუმის ბიუსტი და პატივი მივაგეთ დაღუპულთა ხსოვნას;
- საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, მეორე გასტროლის ფარგლებში, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე, ორი სპექტაკლი: „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ და „კაცია-ადამიანი?!“ ითამაშა;
- დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სამსახურის ორგანიზებითა და ჩართულობით სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობით, „წისქვილი ჯგუფის“ და „მეიდან ჯგუფის“ ორგანიზებით, ძველ თბილისში, „ქართული ღვინისა და კუთხეების ფესტივალი“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ანსამბლმა „კოლხური ტრიომ“, მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „გოგალაიმ“ მიიღეს. გამოიფინა ხალხური რეწვის ადგილობრივი ოსტატების ნამუშევრები, მსოფლიოში აღიარებული სენაკელი მხატვრის, რეზო ადამიას ნახატები, ადგილობრივი მეწარმეების - ვენერა ლიპარტიას და ზაალ დემურიას პროდუქცია, რომელიც სამსახურის ორგანიზებით, ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა;
- რეგიონული თეატრების XI საერთაშორისო ფესტივალი. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლით - „ბილეთი უკანასკნელი წარმოდგენისთვის“ - გაიხსნა;
- სამსახურის მხარდაჭერით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, კომპოზიტორ და ავტორ-მემსრულებელის, ზვიად ბოლქვაძის, მუსიკალური ბენდის და მომღერალ ნეკა სებისკვერამეს მონაწილეობით საავტორო მუსიკის კონცერტი გაიმართა;
- აჭარის კულტურის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ პროფესიულ თეატრში, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან არსებული კვარტეტის „ნოტა“ სოლო კონცერტი გაიმართა;
- პატივი მივაგეთ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას, მათი ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შევამკეთ. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა;
- სამსახურის ორგანიზებით სენაკში, „ქალაქის დღე“ აღინიშნა;

- სახვითი ხელოვნების გალერეაში, გაიმართა ოქროს ფონდში დაცული ფერწერული ტილოების გამოფენა;
- სამსახურის ორგანიზებით, ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, „**ეგრისობა 2025**“ სახალხო დღესასწაული გაიმართა;
- სენაკის საპატო მოქალაქისა და სენაკზე მზრუნველის წოდება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 9 ადამიანს მიენიჭა.
- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის დასმა, რეჟისორ, ვატო ჯუღელის სოციალური დრამა - „**ტრამვაი, სახელად სურვილი**“, ითამაშა. სპექტაკლი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა;
- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სამსახურის, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით, საგასტროლო ტურნეს ფარგლებში, ანსამბლი „**იბერია**“ კონცერტი გამართა;
- სენაკში, საახალწლო კონცერტი გაიმართა და საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე.
- საკონცერტო პროგრამით სენაკელების წინაშე წარდგენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები: „**ქუჩის ბიჭები**“, **ნინი ქარსელაძე, მარიკა თხელიძე და ლიზი დარასელია.**;
- აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის თანადაფინანსება **40 000** (ორმოციათასი) ლარით განხორციელდა.

#### **თ) კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 06)**

კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 06) გამოყოფილი იქნა 600,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 319,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 53,1%-ია.

განხორციელდა: მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია ( მეორე ეტაპი).

#### **ი) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი 05 03) გამოყოფილი იქნა 45,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 44,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,8%-ია.

- გაფორმდა ხელშეკრულება, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და სქილვილ საქართველოს შორის, რომლის საგანი, სენაკში რეგისტრირებული ახალგაზრდების სწავლება-გადამზადება იყო აიტი პროგრამების მიმართულებით. 2025 წელს 16 სენაკელი ახალგაზრდა გადამზადდა, პროექტის მიზანია - ახალგაზრდებში მომავლის და ინოვაციური პროგრამების დაუფლება, უნარების გაუმჯობესება და დასაქმების ბაზარზე მაღალ ანაზღაურებადი სამუშაოების ძიება/დასაქმება.
- სენაკის ტექნოპარკში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროექტის - „ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად“ ფარგლებში, ახალსოფლის, ნოსირის, თეკლათის, მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, სატრენინგო კურსი დაიწყო. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები.
- ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სამსახურის ორგანიზებით კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილი ღონისძიება „**ბოლო ზარი 2025**“ გაიმართა. სადამოხე მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებმა. მეორე ნაწილი ცნობილი რეპერების - მასტერის და Young Mic-ის შოუს დაეთმო.
- სენაკში ტექნოლოგიური კვირეული - AgriTech Week ჩატარდა. ტექნოლოგიური კვირეული სამსახურის და სენაკის ტექნოპარკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა. კვირეული 16 ივლისს, პანელური დისკუსიით -გაიხსნა.

AgriTech Week-ის ფარგლებში მონაწილე სენაკელმა, ფოთელმა, ხობელმა, მარტვილელმა და ჩხოროწყელმა ახალგაზრდებმა შეისწავლეს აგროტექნოლოგიები, მუშაობდნენ სტარტაპ იდეებზე, მონაწილეობდნენ პრაქტიკულ ვორქშოფებში. ორი რჩეული გუნდი ჟიურიმ გამოავლინა. გუნდები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ 500-500 ლარით დააჯილდოვა. კვირულის მიზანი იყო, რეგიონული სტარტაპების განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება აგროტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში.

- ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით, სამსახურის ორგანიზებით, ახალგაზრდობის ხეივანში, ზაფხულის მუსიკალური საღამო გაიმართა. საკონცერტო პროგრამით მაყურებლის წინაშე მარიამ შენგელია და ჯგუფი „მიქსტურა“ წარდგინეს.
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორობით, ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებითა და გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას“ ორგანიზებით, სენაკის ტექნოპარკში მიმდინარეობს პროექტი - „სტარტაპ თაობა - ციფრული უნარების განვითარება წარმატებული მეწარმეობისათვის - სენაკის, აბაშისა და ხობის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ახალგაზრდებში“. პროექტის ფარგლებში, 16 წლიდან 29 წლამდე დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე - ახალგაზრდული საქმიანობა და მოხალისეობა. პროექტი მიზნად ისახავს სენაკის, აბაშისა და ხობის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას ინოვაციურ მეწარმეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზით, რაც ხელს შეუწყობს სოციალური და დასაქმების უნარების გაძლიერებას, მომავლის პროფესიების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კარიერული კონსულტაციის გზით, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და გაძლიერებას.
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ქ. ფოთში, გაიმართა ქართული ლიგის ფესტივალი, მასში მონაწილეობა სენაკის პირველი და მეშვიდე საჯარო სკოლების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულმა გუნდმა პირველად მიიღო. ქართული ლიგის ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ ფოთისა და ხობის სკოლების გუნდები.
- ახალგაზრდა სტუდენტების მხარდაჭერის/დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მოგვამართა 28 სოციალურად დაუცველმა ახალგაზრდამ. აქედან პროგრამით გათვალისწინებული წესებიდან დაფინანსდა 22 ახალგაზრდა.

### **კ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 05 05) გამოყოფილი იქნა 50,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 50,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

განხორციელდა სსიპ სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის სუბსიდიური დაფინანსება, ეკლესიისათვის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

### **ლ) საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 06)**


საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 06) გამოყოფილი იქნა 55,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 55,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

განხორციელდა შპს საინფორმაციო ცენტრი სუბსიდიური დაფინანსება.

## **6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (პროგრამული კოდი 06 00) გამოყოფილი იქნა 2709,2 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2628,1,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 97%-ია.

### მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა



პროგრამის უფროსი კოდი	პროგრამის დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
<b>06 00</b>	<b>მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2709,2</b>	<b>2628,1</b>	<b>97,0</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>1119,0</b>	<b>1092,1</b>	<b>97,6</b>
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	439,1	413,2	94,1
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	554,3	554,3	100,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	117,7	117,6	100,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	8,0	7,0	87,2
<b>06 02</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1590,2</b>	<b>1536,0</b>	<b>96,6</b>
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	460,0	445,5	96,8
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	237,4	237,4	100,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	14,3	14,0	98,2
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	12,5	11,7	93,6
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	162,9	162,6	99,8

06 02 06	ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	27,0	27,0	100,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა	95,0	95,0	100,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	110,2	110,2	100,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	73,0	72,4	99,2
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	66,2	66,2	100,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	154,5	136,7	88,5
06 02 12	დღის ცენტრ აიპ "ლაზარე- 2015" თანადაფინანსება	10,0	10,0	100,0
06 02 13	პროექტი "საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსება	43,9	43,9	100,0
06 02 14	პროექტი "ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსება	90,0	90,0	100,0
06 02 15	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	13,4	13,4	100,0
06 02 16	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა	20,0	0,0	0,0

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა თვითმმართველი ერთეულების დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

- ეპიდზედამხედველობა(მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა);
- მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 413 231 ლარი. პროგრამით ისარგებლა 6716 ბენეფიციარმა.

2. ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა თანადაფინანსებას, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 554 259 ლარი. პროგრამით ისარგებლა 1312 ბენეფიციარმა. მათ შორის: 250 ონკოლოგიურ პაციენტს ჩაუტარდა სამედიცინო მომსახურება; 304 პაციენტს ჩაუტარდა მაღალტექნოლოგიური კვლევები; 167 ბენეფიციარს დაუფინანსდა სარეაბილიტაციო მომსახურება; 591 ბენეფიციარს კი - სხვადასხვა სახის სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის 244 მოზარდია;

3. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე-საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას 70 ლარის ფარგლებში. ონკოლოგიურ

პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია შშმ პირთათვის, ვეტერანებისა და მარტოხელა მშობლებისათვის უფასო მედიკამენტებით სარგებლობა. ამ პროგრამით 117 640 ლარის ფარგლებში ისარგებლა 1318 ბენეფიციარმა. მათ შორის: 584 სოციალურად დაუცველია; 540 შშმ პირი; 106 ვეტერანი; 80 ონკოლოგიური პაციენტი; 5 მარტოხელა დედა; 3 ორსული ქალი პრეპარატ იმუნოგლობულინით მოსარგებლე;

4. დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევების პროგრამა რომელიც ითვალისწინებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები. გამოკვლევა ჩატარდა 750 მოზარდს 6 975 ლარის ფარგლებში;

5. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით. რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. სისტემატიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა ცენტრთან არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე. მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები. პროგრამის

ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 445 453 ლარი. პროგრამით სარგებლობს 222 ბენეფიციარი.

6. მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო წელს 97 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ყოველთვიური დახმარება, 237 350 ლარის ფარგლებში. დახმარების მიმღები 394 მოზარდია.

7. ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ დედ-მამით ობოლ და იშვიათი დაავადების მქონე 10 ბავშვს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 13 994 ლარი.

8. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა 35 გარდაცვლილი დევნილი მოქალაქისა და 4 ვეტერანის ოჯახზე დახმარება. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 11 700 ლარი.

9. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია პროგრამის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური-ინტერდისციპლინური გუნდის, რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ინდივიდუალური

განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს 18 ინდივიდუალური სესიისა (მათ შორის: გამოყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის,

ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტთერაპია, მუსიკალური თერაპია. მათ შორის, ჯგუფური თერაპია და სხვა. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება. მათ შორის, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება) და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თითოეულ ბენეფიციარზე 350 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღება შეუძლიათ 2-18 წლამდე ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეფასებული შესაბამისი ინსტრუმენტით და აქვთ დიაგნოზი: F84.0 – ბავშვთა აუტიზმი, ან F84.9 – განვითარების ზოგადი, აშლილობა დაუზუსტებელი. პროგრამით მომსახურება მიიღო 40 მოზარდმა. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 162 0625 ლარი.

10. **ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია 8 მოქალაქეს 27 000 ლარის ფარგლებში.**
11. **სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამის ფარგლებში** ფინანსური მხარდაჭერა გაეწიათ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირებს, უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე 25 პირს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და უწევთ ბინის ქირის გადახდა; მათ შორის დახმარება გაეწიათ რეინტეგრირებული ორი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახს და ხუთ ძალადობის მსხვერპლს 500

ლარის ოდენობით. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 95 000 ლარი.

